ხელშეკრულება# 2251 №1
(სამართლებრივი დახმარების თაობაზე)

ქ. თბილისი 30 12 2011 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი პირი - ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა (შემდგომში „დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ მალაზონიას სახით ერთის მხრივ და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში ეროვნული ცენტრი (შემდგომში „შემსრულებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის პირველი მოადგილის პეტრე წურწუმიას სახით მეორეს მხრივ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სამართლებრივი დახმარების გაწევა (CPV: 79100000) და გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2400 (ორიათასოთხასი) ლარს.

2. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამართლებრივი დახმარების ღირებულება თვეში შეადგენს 200 (ორასი) ლარს.

3. მომსახურების გაწევა დასტურდება შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

4. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ყოველი საანგარიშო თვის 28 რიცხვამდე, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედება

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 3 იანვრიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. დამკვეთი ვალდებულია:

1.1. შეუქმნას სამუშაო პირობები შემსრულებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

2. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1. უზრუნველყოს დამკვეთისათვის განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების და ნოვაციების გაცნობა;

2.2. უზრუნველყოს დამკვეთისათვის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი ხელშეწყობა;

2.3. უზრუნველყოს დამკვეთის მიერ მომზადებული დოკუმენტების სამართლებრივი ექსპერტიზა;

2.4. უზრუნველყოს დამკვეთისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადებაში სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა.

3. დამკვეთი უფლებამოსილია:

3.1. მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

3.2. მოითხოვოს შემსრულებლისაგან სასამართლოში თავის წარმომადგენლად საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლის დანიშვნა.

4. შემსრულებელი უფლებამოსილია:

მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო,

1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:	შემსრულებელი:
ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის N საჯარო სკოლა მის. ქ. თბილისი, შარტავას N20 ტელ. 237 12 75 ს/კ 211351605 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ლიბერთი ბანკი ბანკის კოდი 220101480 ა/ა GE31LB0121134002649000 **დირექტორი** **თამარ მალაზონია** (ხელმოწერა)	ს.ს.ი.პ. – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მის. ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N1 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი" ს/კ N 202330566 ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE66BG0000000344269500 **დირექტორის პირველი მოადგილე** **პეტრე წურწუმია** (ხელმოწერა)